

## პრესრელიზი

### ლევან ვეფხვაძემ გაეროს ჟენევის ოფისში პრეზენტაცია გამართა

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ გენერალური დირექტორის მრჩეველი ლევან ვეფხვაძე გაეროს ჟენევის ოფისში, გაეროს ეკონომიკური საბჭოს (UNECE) ნახშირის მეთანის ექსპერტების და აშშ გარემოსდაცვის სააგენტოს (EPA) გლობალური მეთანის ინიციატივის (GMI) ერთობლივ სესიაზე სიტყვით გამოვიდა.

ლევან ვეფხვაძემ წარმოადგინა პრეზენტაცია საქართველოში ნახშირის შახტებიდან მიღებული მეთანის მოპოვების სამართლებრივ, ინსტიტუციონალურ და ეკონომიკურ პრობლემებზე.

მნიშვნელოვანია, რომ ექსპერტებმა გაიზიარეს ლევან ვეფხვაძის მოსაზრება, რომ სახელმწიფო მხარს უნდა უჭერდეს შახტებიდან მეთანის კომერციული მოპოვების კერძო ინიციატივებს, რაც პირდაპირ უკავშირდება გლობალური კლიმატის დათბობის პრობლემას. აღნიშნული ინიციატივა ასევე მნიშვნელოვანია შახტებში ნახშირის მოპოვებითი სამუშაოების უსაფრთხოების ზრდისთვის.

გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა თხოვნა, რომ 2018 წლის სექტემბერში საქართველოში გაიმართოს UNECE ექსპერტთა ჯგუფისა და რეგიონალური ქვეყნების წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრა, სადაც მხარეები მიიღებენ აუცილებელ ინფორმაციას შახტებიდან ნახშირის მეთანის მოპოვების როგორც ტექნოლოგიურ სიახლეებზე, ასევე, ამ კუთხით წარმატებულ ქვეყნებში არსებულ სამართლებრივ და ინსტიტუციონალურ მოდელებზე.

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

